სამართლებრივი საკითხების გაშუქება ქართულ მედიაში

კვლევის ავტორი: ელისო ჩაფიძე

პერიოდი: 1-30 აპრილი, 2011

როგორ შუქდება სამართლებრივი საკითხები ქართულ მედიაში, აქვთ თუ არა ჟურნალისტებს საკმარისი ცოდნა სამართლებრივი საკითხების გასაშუქებლად და რამდენად ვიცავთ დაკავებულთა უდანაშაულობის პრეზუმფციას? ესაა ის თემები, რაზეც ჟურნალისტ ელისო ჩაფიძის მიერ განხორციელებულ "მედია-მონიტორინგში" არის საუბარი. კვლევის საგანი გახლდათ სამი ყოველკვირეული ქართული გაზეთი; "ასავალ-დასავალი", "ქრონიკა" და "კვირის პალიტრა", და ხუთი ტელეკომპანიის მთავარი საინფორმაციო გამოშვებები ერთი თვის განმავლობაში. კვლევა მომზადებულია „მედიის განვითარების ფონდის" პროექტის _ „მედია მონიტორინგი _ პროფესიული და ანგარიშვალდებეული მედიის განვითარებისთვის" ფარგლებში. პროექტის მხარდამჭერია ფონდი „ღია საზოგადოება _ საქართველო".

სამართლებრივი საკითხების გაშუქება და მედია-სტანდარტი

უდანაშაულობის პრეზუმფცია დაკავებული ადამიანის ერთ-ერთი ძირითადი უფლებაა, რომელიც გარანტირებულია როგორც საქართველოს კონსტიტუციის მე-40... მუხლით, ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსითა და საერთაშორისო აქტებით. უდანაშაულობის პრეზუმფციის დაცვას მედიაში უდიდესი მნიშვნელობა აქვს როგორც ადამიანის უფლებების დაცვის, ასევე მედიის მიერ საზოგადოებაში სამართლებრივი ცნობირების ამაღლებისათვის.

უდანაშაულობის პრეზუმფცია ორი ძირითადი კომპონენტისაგან შედგება; პირველი: დაკავებული და ბრალდებული პირი დამნაშავედ შეიძლება ჩაითვალოს მხოლოდ მის მიმართ კანონიერ ძალაში განაჩენის შესვლის შემდეგ, ეს კი განაჩენის გამოცხადებიდან 2 კვირის შემდეგ ხდება; და მეორე: განაჩენი უნდა ეყრდნობოდეს მხოლოდ უტყუარ მტკიცებულებებს.

კონსტიტუციის მე-40 მუხლის მიხედვით, უდანაშაულობის პრეზუმფცია იგივეა, რაც პირის არაბრალეულობა.

უდანაშაულობის პრეზუმფციის მეორე მნიშვნელოვანი პრინციპია ის, რომ პირმა არ უნდა ამტკიცოს თავისი უდანაშაულობა. ბრალმდებელი მხარეა ვალდებული, დაამტკიცოს, რომ ის დამნაშავეა.

გავრცელებული მოსაზრება, რომ მედია არღვევს უდანაშაულობის პრეზუმფციას თავად, არასწორია. მედია ვერ დაარღვევს უდანაშაულობის პრეზუმფციას, ვინაიდან უდანაშაულობის პრეზუმფცია გულისხმობს, რომ ბრალდების ტვირთი ეკისრება გამოძიებას და ადამიანი უდანაშაულოდ ითვლება, ვიდრე ამას არ დაადგენს სასამართლო. უდანაშაულობის პრეზუმფცია ეხება სისხლის სამართლის საქმეებს. მაგრამ მედიამ შეიძლება დაარღვიოს ჟურნალისტური სტანდარტი და ეჭვმიტანილი მოიხსენიოს დამნაშავედ, სასამართლოს მიერ შესაბამისი გადაწყვეტილების მიღებამდე. შესაბამისად, ჩვენი მონიტორინგის საგანიც ზუსტად ეს არის.

გვსურს, პირველ რიგში თავად მედიას შევთავაზოთ სამართლებრივი ცოდნის გაზრდა. ჩვენი კრიტიკა და რეკომენდაციები მიმართულია სწორედ მედიის სამართლებრივი ცოდნის გაზრდისა და ამ სფეროში მისი საქმიანობის პროცესში დარღვევების აღმოსაფხვრელად.

უდანაშაულობის პრეზუმფცია

1. სისხლის სამართლის ერთ-ერთი ძირთადი პრინციპის მიხედვით, დანაშაულის ჩადენაში ეჭვმიტანილი და ბრალდებული დამნაშავედ არ ჩაითვლება მანამ, სანამ ამას მიუკერძოებელი და დამოუკიდებელი სასამართლო არ დაადგენს. 1. ბრალდებული უდანაშაულოდ ითვლება მანამ, სანამ მის მიერ დანაშაულის ჩადენა არ დამტკიცდება კანონით გათვალისწინებული წესით და არ დადგინდება კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენით. 2. არავინ არ არის ვალდებული ამტკიცოს თავისი უდანაშაულობა. ბრალდების მტკიცების მოვალეობა ბრალმდებელს ეკისრება. ბრალმდებელს უფლება აქვს უარი თქვას ბრალდებაზე. 3. დადგენილება ბრალდებულად სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემის შესახებ, საბრალდებო

დასკვნა, გამამტყუნებელი განაჩენი და ყველა სხვა საპროცესო გადაწყვეტილება უნდა ემყარებოდეს მხოლოდ უტყუარ მტკიცებულებებს. 4. ყოველგვარი ეჭვი, რომელიც არ დადასტურდება კანონით დადგენილი წესით, უნდა გადაწყდეს ეჭვმიტანილისა და ბრალდებულის სასარგებლოდ.

რესურსი: საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი.

რაც შეეხება ჟურნალისტებისთვის სტანდარტს. ამ სტანდარტებს ადგენს:

ტელეკომპანიებისათვის სამართლებრივი თემატიკის გაშუქების სტადნარტს და ვალდებულებას უზრუნველყოფს მაუწყებელთა ქცევის კოდექსი, რომელსაც სავალდებულო ძალა აქვს. კერძოდ: მაუწყებელთა ქცევის კოდექსი, 2009 წლის 9 მარტი; ამას გარდა, საქართველოში არსებობს მედია-ეთიკის ქარტია, რომელზე ნებაყოფლობითი ხელმომწერებისთვისაც ასევე სავალდებულოა მედია-სტანდარტების დაცვა სამართლებრივი საკითხების გაშუქების დროს.

ჩვენ გადავწყვიტეთ აქ მოვიყვანოთ მაუწყებელთა ქცევის კოდქსის ის მუხლი, რომელიც რეალურად მეტ-ნაკლები სისრულით განმარტავს და ნაშაულისა და ანტისოციალური ქცევის გაშუქების სტანდარტე, კერძოდ:

მაუწყებელთა ქცევის კოდექსი, 2009 წლის 9 მარტი, თავი XII:

დანაშაული და ანტისოციალური ქმედება

მუხლი 48. დანაშაულისა და ანტისოციალური ქმედების გაშუქების პრინციპი

მაუწყებელმა არ უნდა გადასცეს ისეთი მასალა, რომელმაც შესაძლოა წააქეზოს ან წაახალისოს დანაშაული ან გამოიწვიოს საზოგადოებრივი არეულობა და ანტისოციალური ქმედება. დანაშაულისა და ანტისოციალური ქმედების გაშუქებისას, მაუწყებელმა უნდა დაიცვას ბალანსი, ერთი მხრივ, გამოხატვის თავისუფლებასა, ხოლო მეორე მხრივ, უდანაშაულობის პრეზუმფციასა და ეჭვმიტანილთა, ბრალდებულთა, განსასჯელთა, მსჯავრდებულთა, მოწმეთა და დაზარალებულთა პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლებას შორის.

მუხლი 49. მაუწყებლის მიერ დანაშაულისა და ანტისოციალური ქმედების გაშუქებისადმი წაყენებული მოთხოვნები (წესები)

1. მაუწყებლმა არ უნდა გადასცეს ისეთი მასალა, რომელმაც შესაძლოა წააქეზოს ან წაახალისოს დანაშაულის ჩადენა ან გამოიწვიოს ანტისოციალური ქმედება, ან რომელიც ამართლებს ან იწონებს უკანონო, ძალადობრივ, სახიფათი ან ანტისოციალურ ქმედებას.

2. დანაშაულისა და ანტისოციალური ქმედების გაშუქებისას მაუწყებელი ვალდებულია უზრუნველყოს ეჭვმიტანილთა, ბრალდებულთა, განსასჯელთა, მსჯავრდებულთა, მოწმეთა, დაზარალებულთა და მათი ოჯახის წევრების კანონიერი ინტერესების დაცვა.

3. დანაშაულისა და ანტისოციალური ქმედების გაშუქებისას, მაუწყებელმა არ უნდა მოახდინოს ეჭვმიტანილის იდენტიფიცირება, გარდა იმ შემთხვევისა, როცა მისი სახელი საზოგადოებისთვის ცნობილია ან საქმე საზოგადოებრივი ინტერესის მქონეა.

4. დაუშვებელია თანხის გადახდა, თანხის გადახდის დაპირება ან ნატურით გადახდა ეჭვმიტანილთა, ბრალდებულთა, განსასჯელთა, მსჯავრდებულთა, მოწმეთა და დაზარალებულთა ან სხვა პირისთვის დანაშაულთან დაკავშირებით ინფორმაციის მოპოვების მიზნით.

5. დაუშვებელია გამოძიების მიმდინარეობისას მოწმის, მისი ნათესავების ან ოჯახის წევრებისთვის პირდაპირ ან ირიბად თანხის გადახდა, ან თანხის გადახდის დაპირება, გარდა პროგრამის ან ინტერვიუს მომზადებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურებისა.

6. დანაშაულის ან ანტისოციალური ქმედების შესახებ ინფორმაციის შეგროვებისას, თანხის გადახდა გამართლებულია მხოლოდ ისეთი მნიშვნელოვანი ინფორმაციის მოპოვების მიზნით, რომელიც საზოგადოებრივ ინტერესის მქონეა და თუ მისი მიღება თანხის გადახდის გარეშე შეუძლებელია.

7. მაუწყებელმა არ უნდა გადასცეს ისეთი ინფორმაცია ნაფიც მსაჯულთა შესახებ, რომელმაც შეიძლება ზიანი მიაყენოს სასამართლო პროცესს ან გავლენა მოახდინოს მის შედეგზე.

8. დაუშვებელია დანაშაულის ჩადენის ხერხის ისეთი აღწერა ან დემონსტრირება, რამაც შეიძლება ხელი შეუწყოს დანაშაულის ჩადენას, გარდა იმ შემთხვევებისა როცა არსებობს სარედაქციო დასაბუთება.

მუხლი 50. სახელმძღვანელო რეკომენდაციები მაუწყებლის მიერ დანაშაულის და ანტისოციალური ქმედების გაშუქების შესახებ.

1. დანაშაულის ან ანტისოციალური ქმედების გაშუქებისას მაუწყებელმა:

ა) არ უნდა დაუშვას უსაფუძვლო პანიკის შექმნა საზოგადოებაში, ჭორების ან უსაფუძვლო ვარაუდების გავრცელება, რამაც შეიძლება გაუმართლებელი ზიანი მიაყენოს პირის რეპუტაციას ან კანონიერ ინტერესებს;

ბ) მაუწყებელი უნდა დაეყრდნოს საგამოძიები ორგანოებისა და ექსპერტების დასკვნებს, გარდა იმ შემთხვევისა, როცა მაუწყებელი საკუთარ ჟურნალისტურ გამოძიებას ატარებს, რომელიც გამოავლენს ოფიციალური გამოძიების უზუსტობას, წინააღმდეგობრიობას ან ინერტულობას და ფლობს საკმარის ინფორმაციას სანდო ჟურნალისტური შეფასების გაკეთებისათვის.

2. სამართალდამცავი ორგანოების ან სხვა სახელმწიფო სამსახურების წარმომადგენლებთან ერთად, რაიმე ოპერაციაზე დასწრება, გამართლებულია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ოპერაცია საზოგადოებრივი ინტერესის მქონეა. კერძო საკუთრებაზე განხორციელებულ ოპერაციებზე დასწრებისას, მაუწყებელი ვალდებულია მიიღოს თანხმობა მესაკუთრისგან, ხოლო ნებართვაზე უარის შემთხვევაში დატოვოს ტერიტორია გარდა იმ შემთხვევისა, როცა არსებობს საზოგადოებრივი ინტერესი.

3. ეჭვმიტანილთა, ბრალდებულთა, განსასჯელთა, მსჯავრდებულთა, მოწმეთა და დაზარალებულთა ინტერვიუს ჩაწერისას მაუწყებელმა თავი უნდა შეიკავოს დანაშაულის მოწონების ან გამართლებისგან და დაიცვას პატიმართან ინტერვიუს ჩაწერის წესები.

4. სისხლის სამართლის საქმეზე გამოძიების ან სასამართლო პროცესის გაშუქებისას, მაუწყებელმა უნდა გააშუქოს საბოლოო განაჩენი და მიიღოს ყველა გონივრული ზომა ადამიანის რეპუტაციისათვის გაუმართლებელი ზიანის მიყენების თავიდან აცილების მიზნით.

5. მაუწყებელმა თავიდან უნდა აიცილოს სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის დაზარალებულის ვინაობის გამჟღავნება, გარდა იმ შემთხვევისა, როცა დაზარალებული თანახმაა და არსებობს საზოდოებრივი ინტერესი.

6. მაუწყებელმა, როგორც წესი, არ უნდა ჩამოართვას მოწმეს ინტერვიუ სასამართლო განაჩენის გამოტანამდე, გარდა იმ შემთხვევისა თუ არსებობს საზოგადოებრივი ინტერესი.

7. უკანონო ქმედების ჩადენაზე დასწრებისას მისი ჩაწერა დასაშვებია, თუ ეს არ უწყობს ხელს დანაშაულებრივ ქმედებას.

8. მტკიცებულებების შეგროვების მიზნით, დანაშაულის რეკონსტრუქციის გადაცემისას, მაუწყებელმა მკაფიოდ უნდა მიუთითოს სად იწყება და მთავრდება რეკონსტრუქცია.

9. დანაშაულის ან ანტისოციალური ქმედების გაშუქებისას, მაუწყებელმა არ უნდა მოახდინოს პიროვნების იდენტიფიცირება, როცა:

ა) ადამიანი გამოიყენება ქმედების ილუსტრირებისათვის ან არ არის სრულად პასუხისმგებელი საკუთარ ქმედებაზე;

ბ) რთულია ინფორმირებული თანხმობის მიღება, მაგალითად ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემების გამო;

გ) არსებობს მაყურებლის მიერ გონივრული ვარაუდის საფუძველზე კადრში შემთხვევით მოხვედრილი პიროვნებების დანაშაულთან დააკავშირების შესაძლებლობა, მიუხედავად იმისა, მასალა საჯარო ადგილას არის გადაღებული თუ კერძო ტერიტორიაზე.

10. საარქივო მასალის ჩვენებისას მაუწყებელმა უნდა გამოიჩინოს სიფრთხილე და თავიდან აიცილოს მაყურებლის შეცდომაში შეყვანა ერთი დანაშაულის ამსახველი კადრების გამოყენებისას, მეორეს დანაშაულის ილუსტრირების ან გამოძიების ან სასამართლო პროცესის ანონსისთვის. მაუწყებელმა, როგორც წესი, უნდა გაიაროს იურიდიული კონსულტაცია დანაშაულის ამსახველი საარქივო მასალის გამოყენებისას, თუ საქმე სასამართლო განხილვის პროცესშია.

ჩვენი კვლევის მიზანი იყო, ერთი თვის განმავლობაში თვალყური გვედევნებინა 5 საინფორმაციო გამოშვებისა და 3 ყოველკვირეული გაზეთისათვის. მონიტორინგისათვის შერჩეული მედია-საშუალებები იყო: ტელევიზიები: „საზოგადოებრივი მაუწყებელი“, „რუსთავი-2“, „იმედი“, „კავკასია“ და „მაესტრო“; გაზეთები: „ასავალ-დასავალი“, „ქრონიკა“, „კვირის პალიტრა“.

ჩვენი კვლევის მიზანი იყო, გაგვერკვია, ამ გაზეთებში, ერთი თვის განმავლობაში, რამდენი სტატია მომზადდა სამართლებრივ საკითხებზე; პოზიტიური იყო ისინი თუ _ ნეგატიური, რამდენად იყო ესა თუ ის სტატია სიუჟეტი დაბალანსებული და წყაროების მრავალფეროვნებით გამორჩეული და რა დარღვევებია უდანაშაულობის პრეზუმფციის თვალსაზრისით.

გაზეთი `ასავალ-დასავალი~

მონიტორინგის პერიოდში 1 აპრილიდან 30 აპრილის ჩათვლით გამოვიდა `ასავალ-დასავალის~ 4 ნომერი. მასში გამოქვეყნებული 124 სტატიიდან 26 მეტ-ნაკლებად ეხება სამართლებრივ საკითხებს, თუმცა იმის თქმა, რომ ეს სამართლებრივ საკითხებზე მომზადებული პუბლიკაციებია, რთულია, რადგან პუბლიკაციების ძირითადი ნაწილი წარმოადგენს ან ინტერვიუს, ან _ ჟურნალისტის მოსაზრებას და შეინიშნება გადამოწმებული ფაქტების ნაკლებობა.

სამართლებრივ საკითხებზე მომზადებული სტატიები საგაზეთო პუბლიკაციების დაახლოებით 32 პროცენტს შეადგენს.

გაზეთში გვხვდება შემდეგი ტიპის პრობლემები:

ინტერვიუერის მიერ ადამიანების დადანაშაულება გარკვეული ქმედების ჩადენაში, რასაც თან არ ახლავს არც დადანაშაულებული მხარის კომენტარი და არც იმისი ნიშანი, რომ ჟურნალისტი მეორე მხარისაგან კომენტარის მოპოვებას შეეცადა. მაგალითად:

სამართლებრივ საკითხებზე გაზეთ „ასავალ-დასავალს“ აქვს მეტად საინტერესო რუბრიკა – „ცხელი ხაზი“, რომელიც პატიმრების უფლებებს იცავს. Pპატიმრები თავად უკავშირდებიან გაზეთს და საკუთარ პრობლემებზე უყვებიან, რაც უცვლელად იბეჭდება. მაგრამ არსად, არც იმავე და არც შემდგომ ნომერში არაფერია ნათქვამი ციხის ადმინისტრაციის პოზიციასა და იმაზე, თუ რა ზომები გატარდა პატიმრის მდგომარეობის ანდა მისი ჯანმრთელობის გაუმჯობესების მიზნით, ან საერთოდ, გაკეთდა თუ არა რაიმე ამ კუთხით. Fფაქტების გადამოწმება და ბალანსის დაცვა ეთიკური ჟურნალისტიკის მთავარი პრინციპია.

საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის პირველი მუხლი სწორედ ამას ავალებს ჟურნალისტებს

1. ჟურნალისტმა პასუხი უნდა სცეს სიმართლეს და საზოგადოების უფლებას – მიიღოს ზუსტი ინფორმაცია.

თუმცა აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ჩვენს მიერ განხილული გაზეთებს ჟურნალისტებისაგან ქარტიას ხელმომწერები ჰყავს მხოლოდ "კვირის პალიტრიდან" და რადგან ჟურნალისტური ეთიკის ქარტია არის პირთა წევრობაზე დაფუძნებული ნებაყოფილობითი გაერთიანება, რომელიც განიხილავს მხოლოდ მისი ხელმომწერების მიერ ეთიკური ნორმების სავარაოდო დარღვევის ფაქტებს, დღეისათვის წესდების მიხედვით ეთიკის საბჭო მოკლებული შესაძლებლობას, იმსჯელოს მსგავს შემთხვევებზე მოქალაქეთა მომართვის შემთხვევაში. თუმცა საბჭოში არსებობს მოსაზრება, რომ ქარტიის ყრილობაზე კენჭი ეყაროს წესდების შეცვლას, რის შედეგედაც მისი მოქმედების არეალი გაფართოვდება.

აღნიშნული პუბლიკაციები ჯდება გამოხატვის თავისუფლების ევროკონვენციის მე-10 მუხლით დაცულ ფარგლებში, მაგრამ ასეთ საკითხებს ეთიკის კოდექსი უნდა არეგულირებდეს.

გაზეთი „ქრონიკა"

მონიტორინგის პერიოდში გამოვიდა „ქრონიკის" 4 ნომერი. მთლიანობაში ოთხივე ნომერში დაიბეჭდა სულ 90 სტატია, მათგან 16 სტატია ეხება სამართლებრივ საკითხებს, თუმცა არც ერთი მათგანი არ არის რეპორტაჟი სასამართლო პროცესიდან, ან რომელიმე სისხლის სამართლის საქმის მიმოხილვა. ძირითადად, მასალები უკავშირდება ცნობილ კრიმინალურ ამბებს.

„ქრონიკის" 4-10 აპრილის ნომერში ყურადღებას იპყრობს სტატია – „ჯანდაცვის სამინისტროს რომელი მაღალჩინოსნები ჩაუშვა კოკა ფრუიძემ". Nნელი ვარდიაშვილის ამ მასალაში მართალია, თავად დაკავებულის მიმართ წაყენებულ ბრალდებებზე სტანდარტების დაცვითაა მოთხრობილი, მაგრამ საუბარია იმაზე, რომ ჯანდაცვის მინისტრის ყოფილი მოადგილე „სასტიკადაა ნაწამები" და რომ „მან ვიღაცეები ჩაუშვა", რაც მოითხოვს როგორც მეტ კონკრეტულობას, ასევე წყაროების დასახელებას და მკითხველისთვის შესაბამისი უწყებების მხრიდან კომენტარების შემოთავაზებას, რათა გავერკვეთ, მართლაც ჰქონდა თუ არა ადგილი ადამიანის წამების ფაქტს.

„ქრონიკის" ამავე ნომერში, მე-7 გვერდზე დარეჯან მეფარიშვილი ცდილობს, მოგვაწოდოს ინფორმაცია ქუთაისში მიმდინარე პროცესის შესახებ, რომელიც ნარკოტრეფიკს ეხება და რომლის გამოც განსასჯელთაგან ერთ-ერთს – ბოჭორიშვილს სამუდამო პატიმრობა დაუსწრებლად მიუსაჯეს. მართალია, სტატია არ არის დაბალანსებული და ის მხოლოდ ადვოკატ ლალი აფციაურის მონათხრობს ეყრდნობა, მაგრამ ჟურნალისტი ხსნის, რომ ის სასამართლო პროცესიდან გამოაძევეს,

ხოლო პროკურორი და სასამართლო მასთან ურთიერთობაზე უარს აცხადებს. ასეთ შემთხვევაში, ბუნებრივია, ჟურნალისტი უარს ვერ იტყვის თემის გაშუქებაზე.

ამავე ნომრის 33-ე გვერდზე სტანდარტების დაცვითაა გაშუქებული ე. წ. ოჩხიკიძეების საქმე. ჟურნალისტი ნანა არჩვაძე გამოძიების მასალებზე დაყრდნობით აღწერს მომხდარს, ერთგან ჟურნალისტი ვერ მალავს საკუთარ აზრს და ავტორი არ მიიჩნევს დამაჯერებლად ბრალდებულის არგუმენტებს, თუმცა არ ასაბუთებს საკუთარ ეჭვს.

არ არის გადამოწმებული ფაქტი ‘ქრონიკის” 11-17 აპრილის ნომერში, მეორე გვერდზე გამოქვეყნებულ სტატიაში: „ვიცე-მერის ნასვამმა მძღოლმა სამი ბავშვი გაიტანა“. პუბლიკაციაში ამ ფაქტს ქართული პარტიის ქუთაისელი წარმომადგენელი და ბავშვის მშობელი ადასტურებენ, მაგრამ სტატიაში არათუ დადანაშაულებული მძღოლის, არამედ არ არის მოხმობილი კომენტარები პოლიციისა და პროკურატურის მხრიდან, არც გადამოწმების სხვა გზებია გამოყენებული.

„ქრონიკის“ 18-25 აპრილის ნომერში კი, 27-ე გვერდზე გამოქვეყნებულ სტატიაში „როგორ ექცევიან ქართველებს თურქეთში საზარელი მკვლელობის შემდეგ“ გადმოცემულია სტამბულში მომხდარი მკვლელობის ისტორია - როცა სასტუმროს მეპატრონე და მისი მეგობარი ქალი გარდაცვლილი იპოვეს. ამ ისტორიაში ბრალდებულებად ისევ საქართველოს მოქალაქეები დაასახელეს, თუმცა მედია უფრო ფრთხილად მიუდგა ამ თემას და „ქრონიკა“ და სტატიის ავტორი ნანა არჩვაძე მათ ეჭვმიტანილებად მოიხსენიებს. ეს სტატია გამორჩეულია სწორედ სტანდარტის დაცვის თვალსაზრისით სამართლებრივი გამართულობით.

იგივეს ვერ ვიტყვით ამავე ნომრის მე-8 გვერდზე გამოქვეყნებულ ეკა სეხნიაშვილის სტატიაზე: „რატომ დაერია პროკურატურა გივი თარგამაძის კადრებს“. სტატია ძალიან აქტუალურ თემაზეა – იფლანგება თუ არა ფული გზების მშენებლობისას და მეტად საინტერესო კულუარულ ინფორმაციასაც გვაწვდის, მაგრამ არც ერთი დადანაშაულებული პირისა თუ ორგანიზაციის კომენტარი, ან საერთოდ, მსგავსი კულუარული ინფორმაცია ჟურნალისტური გამოძიების ცატარებასაც მოითხოვს.

სტატიაში არ მოიპოვება. ეს კი მას დამაჯერებლობას ვერ სძენს. Uუცნაურია, მაგრამ ფაქტია, რომ გარკვეული ინტერესების გატარებაში ამ სტატიაში ორგანიზაციებიც არიან დადანაშაულებულნი და მასზთან არანაირი კომენტარი და მისი მოპოვების მცდელობა არაა. მსგავსი ფაქტები გადამოწმებას და ჟურნალისტური გამოძიების ჩატარებას მოითხოვს.

გაზეთი „კვირის პალიტრა“

მონიტორინგის პერიოდში გამოვიდა გაზეთ „კვირის პალიტრის“ 4 ნომერი. ამ ნომრებში გამოქვეყნებულია 161 სტატია. მათგან 13 პუბლიკაცია სამართლებრივ საკითხებს ეხება. „კვირის პალიტაში“ არ ვხვდებით სასამართლო პროცესების გაშუქებას და სისხლის სამართლის საქმეების განხილვას.

გაზეთ „კვირის პალიტრის“ 4-10 აპრილის ნომერში, მე-5 გვერდზე გამოქვეყნებულ სტატიაში, ავტორ ეკა ასათიანის მიერ დასმულია მეტად მტკივნეული და საზოგადოებისთვის საჭირბოროტო საკითხი, კერძოდ, ის, რომ პატიმრების ახლობლები რიგებში დგანან ყოფილ მატროსოვის ქუჩაზე. მათ ეშინიათ მედიასთან საუბრის, ამიტომ ჟურნალისტი მიმართავს ფარულ გადაღებას. სამართლებრივი სტანდარტები ამ სტატიაში დაცულია, მაგრამ გვხვდება ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის დარღვევა, რადგან მცირეწლოვანი ბავშვი ფარული გადაღების ობიექტი გახდა. მაშინ, როცა სტანდარტი საერთოდ მოითხოვს, რომ ბავშვის სახე დაფარული იყოს და მისი იდენტიფიცირებასაერთოდ არ მოხდეს.

ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის მე-8 მუხლში კი ვკითხულობთ:

ჟურნალისტი ვალდებულია, დაიცვას ბავშვის უფლებები; პროფესიული საქმიანობისას უპირატესი მნიშვნელობა მიანიჭოს ბავშვის ინტერესებს, არ მოამზადოს და არ გამოაქვეყნოს ბავშვების შესახებ ისეთი სტატიები ან რეპორტაჟები, რომლებიც საზიანო იქნება მათთვის. ჟურნალისტმა არ უნდა ჩამოართვას ინტერვიუ და არ უნდა გადაუღოს ფოტო 16 წელზე ნაკლები ასაკის მოზარდს მშობლის ან მეურვის თანხმობის გარეშე იმ საკითხებზე, რომლებიც მისი ან სხვა რომელიმე მოზარდის კეთილდღეობას ეხება.

ამ კონკრეტულ შემთხვევაში გამოყენებულია ფარული გადაღება მოზარდის მიმართ, რაც შეიძლება, ჩაითვალოს ეთიკურ დარღვევად, თუკი ავტორის წინააღმდეგ ეთიკის საბჭოში საჩივარი შევა.

ასევე, სტატიაში არ არის აღნიშნულ თემაზე სასჯელაღსრულების სამინისტროს კომენტარი. კარგად ვიცით, რომ ეს სამინისტროები ჟურნალისტებისათვის პრაქტიკულად მიუწვდომელია, მაგრამ მაინც სასურველია, მათგან კომენტარის მიღების მცდელობა სტატიაში დაფიქსირებული იყოს. თუმცა, სტატიის ავტორთან არ მისაუბრია და გამორიცხული არ არის, ასეთი მცდელობა ყოფილიყო კიდეც.

სამაგალითოდ მიმაჩნია ამავე გვერდზე ჟურნალისტ ხათუნა პაიჭაძის სტატია: „ღვთის გულისათვის, ნახეთ ფირები“, სადაც მეტად მწვავე პრობლემაა დაყენებული და მრავალი წყაროს მიერ მოპოვებულია კომენტარები თემაზე: რატომ ამბობს სასამართლო უარს აშკარა, მამტკიცებელი დოკუმენტების გამოთხოვასა და ნახვაზე. ვფიქრობთ, სტატია მეტად საინტერესოა და ჩანს მრავალმხრივი კომენტარების მოპოვების მცდელობა, მაგრამ აქაც, სამწუხაროდ, არ არის წარმოდგენილი სასამართლოს პოზიცია, რაც ასევე რთული მოსაპოვებელია, თუმცა მცდელობა მაინც სასურველია, ჩანდეს. ამავე დროს, სტატიაში რაიმე სტანდარტის დარღვევაზე საუბარი უსაფუძვლო იქნებოდა.

ერთადერთი სტატია, რომელშიც სტანდარტი ცალსახადაა დარღვეული, გაზეთის ამავე ნომერში გამოქვეყნებული „შემზარავი რეალობაა“, რომელსაც ავტორი არ ჰყავს. სტატიის ავტორი, მართალია, დედა-შვილ ოჩხიკიძეებს, რომლებიც სტამბულში 11 წლის ფირათ სეზერის მკვლელობის ბრალდებით დააკავეს, თავდაპირველად ეჭვმიტანილებად მოიხსენიებს, მაგრამ შემდეგ წერს: „ერთ-ერთი მორიგი კონფლიქტის დროს ვიოლა ოჩხიკიძემ 11 წლის ბიჭს ჯერ თავში ჩაქუჩი რამდენჯერმე ჩაარტყა (რასაც ეკატერინე ოჩხიკიძეც ესწრებოდა), შემდეგ უკვე გარდაცვლილი ბავშვი აკუწა

და ტომარაში ჩაყარა – უნდოდა, ქუჩის სანაგვეში ჩაეგდო. .... აღშფოთებული მოსახლეობა მკვლელების სიკვდილით დასჯას ითხოვს”.

ბუნებრივია, დანაშაულის საშინელების მიუხედავად, არავინ იცის, რას დაადგენს გამოძიება. უდანაშაულობის პრეზუმფცია სწორედ იმ ადამიანებისთვის არსებობს, ვისაც ასეთ მძიმე დანაშაულშიც კი ედებათ ბრალი. პოლიცია რომც არღვევდეს უდანაშაულობის პრეზუმფციას, ჟურნალისტმა უნდა დაიცვას მედია-ეთიკის სტანდარტი. A ფაბულის აღწერისას ჟურნალისტმა უნდა მიუთითოს, ვის ეყრდნობა ის: პოლიციელის, ბრალდების მხარის მიერ მოწოდებულ ინფორმაციას თუ სხვა წყაროს. უნდა მოიხსენიოს დაკავებული ეჭვმიტანილად. ასევე, სასურველია, გვქონდეს დაცვის მხარის არგუმენტებიც. რაც მთავარია, ჟურნალისტი ისე არ უნდა აღწერდეს ფაქტებს, თითქოს ის თავად ესწრებოდა ჩადენილ დანაშაულს და გვიამბობდეს პირველ პირში.

ამავე გვერდზე გამოქვეყნებული ხათუნა პაიჭაძის მასალა – „ებრაელ ბიზნესმენებს ასანჟის ადვოკატი დაიცავს“ წარმოადგენს კვალიფიციურად მომზადებულ რეპორტაჟს სასამართლო პროცესიდან, სადაც მოთხრობილია როგორც ებრაელი ბიზნესმენების - რონი ფუქსისა და ზეევ ფრენკელის სასამართლო პროცესის

მიმდინარეობის შესახებ, ასევე მოყვანილია დაცვისა და ბრალდების მხარეების კომენტარები.

სტანდარტის რაიმე სერიოზულ და წინასწარგანზრახვით დარღვევის ფაქტს მონიტორინგის პროცესში „კვირის პალიტრაში“ არ შევხვედრივართ.

ტელეკომპანიები

სამართლებრივი საკითხების გაშუქების თვალსაზრისით, ტელემედიაში ასეთი ტენდენცია იკვეთება: საინფორმაციო გამოშვებებში დიდი ადგილი ეთმობა კრიმინალური ისტორიების გაშუქებას, არის ჟურნალისტური სტანდარტის დარღვევის ფაქტებიც. სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, რომ ჟურნალისტები ხშირად გვიყვებიან ადამიანების დანაშაულის შესახებ - მაშინ, როცა მათ მიმართ ჯერ კიდევ არ დაწყებულა გამოძიება, პირდაპირ გადაიცემა პოლიციის მიერ მოწოდებული კადრები. თუმცა, არ მახსოვს, რომელიმე პირის გამართლების შემთხვევაში ტელეკომპანიებს ამის შესახებ ეცნობებინოთ საზოგადოებისათვის. სამართლებრივი სტანდარტების დარღვევის კუთხით რეკორდი დამყარდა 1 აპრილსვე, რომელიც ჩვენი მონიტორინგის პირველი დღე იყო.

ოჩხიკიძეებს, რომლებიც თურქეთში დააკავეს, პირველ აპრილს მკვლელები უწოდა 1. „საზოგადოებრივმა მაუწყებელმა“, 2. „რუსთავი-2-მა“, 3. „იმედმა“ (მთავარი საინფორმაციო გამოშვებები).

Mმონიტორინგის პერიოდში შეიმჩნეოდა კრიმინალური ისტორიების მოჭარბება. კერძოდ, 1 აპრილიდან 5 მაისის ჩათვლით საზოგადოებრივ მაუწყებელზე გავიდა 62 სიუჟეტი, რომელიც ეხებოდა როგორც საქართველოში, ასევე მის საზღვრებს გარეთ ჩადენილ ცრიმინალს, მაგალითად, ბერლუსკონის მიმართ წაყენებულ ბრალდებებს. აღსანიშნავია, რომ უცხოური ახალი ამბების გაშუქებისას ქართული მედია უფრო ფრთხილია და სტანდარტებს იცავს. მაგალითად, ბერლუსკონის ყველგან ეჭვმიტანილად მოიხსენიებს.

ამავე პერიოდში კავკასიაზე გავიდა 13 სიუჟეტი კრიმინალურ ისტორიებთან დაკავშირებით. ტელეკომპანია “იმედმა” 46 სიუჟეტით გააშუქა კრიმინალი და სამართალი. Mმაესტროზე 25 სიუჟეტი გადაიცა, რუსთავი 2-ზე - 38 სიუჟეტი.

აქვე აღვნიშნავთ, რომ ბრიტანეთის პრესი საბჭოს აქვს ასეთი პრაქტიკა – ისმ ავალდებულებს მედია-საშუალებებს, გააშუქოს გადაწყვეტილება იმ საქმეზე,

რომელიც გაშუქდა პიროვნების დაკავების მომენტში, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, თუ დაკავებული გამართლდა.

„საზოგადოებრივი მაუწყებელი“

„საზოგადოებრივ მაუწყებელს“, როგორც ხალხის მიერ ბიუჯეტიდან დაფინანსებულ ტელეკომპანიას, განსაკუთრებული პასუხისმგებლობა ეკისრება საზოგადოების წინაშე. სამწუხაროდ, სამართლებრივი მასალის მომზადების და დაბალანსების სტანდარტი სამართლებრივი ხასიათის სიუჟეტებში ხშირად ირღვეოდა.

არამხოლოდ პირდაპირი ჩართვების დროს ჟურნალისტებ ის მეტყველებაში (რაც შეიძლება, პირდაპირი ეთერის სპეციფიკას დავაბრალოთ), არამედ საინფორმაციო გამოშვებების ე. წ. ვიორსტკებში შეხვდებით ასეთ დასათაურებას – „დააკავეს მკვლელები“, „მკვლელი დედა-შვილი, “დააკავეს კონტრაბანდისტები”. საზოგადოებრივ მაუწყებელზე ყოველდღიურად მთავარ საინფორმაციო გამოშვებაში 20-21 სიუჟეტი გადაიცემა. აქედან საშუალოდ

3-4 ეთმობა კრიმინალურსა და სამართლებრივ თემატიკას.

საზოგადოებრივ მაუწყებელზე, პირდაპირი ეთერის დროს, როცა დანასაულებრივ საკითხებზე საუბრობენ, ხშირია წამოცდენები, რომ ესა თუ ის პიროვნება არის მკვლელი, დამნაშავე და კრიმინალი, მაგრამ ამჯერად თქვენს ყურადღებას გავამახვილებთ ორ სიუჟეტზე, სადაც ცალსახადაა დარღვეული ეთიკური სტანდარტი პირველი მათგანი ეხებოდა დედა-შვილ ოჩხიკიძეებს და მათთან დაკავშირებით მთელი სიუჟეტის განმავლობაში ეკრანზე სათაურის სახით ვხედავდით წარწერას: “თურქეთში 11 წლის ბავშვის მკვლელი დედა-შვილის ოჩხიკიძის საქმე. სიკვდილით დასჯის შემოღების მოთხოვნა”.

მეორე სიუჟეტი, რომელიც 19 აპრილის 20-საათიანი მოამბის ეთერით გადაიცა, ასევე ასეა დასათაურებული: 21 დაკავებული და დამოუკიდებლად მოქმედი დანაშაულებრივი სამი დაჯგუფება. სხვადასხვა სახის ინვენტარი დამნაშავეებს ფეროშენადნობი ქარხნიდან წლების განმავლობაში გაჰქონდათ. შედეგად კომპანია “ჯორჯიან მანგანეზი” 100 ათასი ლარით დაზარალდა. Aანუ 21 დაკავებული საზოგადოებრივმა მაუწყებელმა მყისვე გამოაცხადა დამნაშავეებად და თუკი მოგვიანებით რომელიმე მათგანი უდანაშაულო აღმოჩნდება, ამას ჩვენ ვეღარ შევიტყობთ.

M მონიტორინგის პერიოდში, 1 აპრილიდან 5 მაისის ჩათვლით, საზოგადოებრივი მაუწყებლის 8-საათიან საინფორმაციო გამოშვება მოამბეში გადაიცა 692 სიუჟეტი, მათგან 89 ეხებოდა სამართლებრივ თემებს, მათ შორის – კრიმინალს.

უდანაშაულობის პრეზუმფცია დაირღვა ასევე 26 აპრილის მოამბის მე-6 სიუჟეტში, რომელიც 20;18 წუთზე გადაიცა. სიუჟეტი ასე იწყება: "ფინანსურმა პოლიციამ დანაშაულებრივი ჯგუფი დააკავა, რომელშიც 23 ადამიანი იყო ჩართული".

29 აპრილის მოამბე, მეორე სიუჟეტი – "ჰემოფილიის ანუ სისხლის შედედების პროცესის დარღვევით დაავადებულთა მედიკამენტების თანხას შპს "ნუგეშის" დამფუძნებელი ითვისებდა. მითვისებულია 1 მილიონ 700 ათასი ლარი".

"იმედის" ქრონიკა

მონიტორინგის პერიოდში იმედის საინფორმაციო გამოშვება 8-საათიან ქრონიკაში გავიდა 340 სიუჟეტი, მათგან 59 ეხებოდა დაკავებებსა თუ სასამართლო პროცესებს. Aამ პერიოდში აქტუალურია დედა-შვილ ოჩხიკიძეების დაკავების თემა, საფეხბურთო სკანდალი გაყიდული თამაშების ბრალდებით, ასევე ვასილ სანოძის დაჭრისა და სანდრო გირგვლიანის საქმეზე სტრასბურგის სასამართლოს მიერ გამოტანილი განაჩენის საკითხები. Uნდა აღვნიშნოთ, რომ "იმედის" ქრონიკაშიც ისევე დაირღვა ოჩხიკიძეების უდანაშაულობის პრეზუმფცია, როგორც სხვა ტელეკომპანიების მიერ გაშუქების დროს. Gგარდა ამისა, ნაციონალურმა ტელევიზიებმა სანდრო გირგვლიანის საქმეზე გადაწყვეტილება გაუშვეს მე-4, მე-5, მე-6 სიუჟეტად, რაც ფრიად გასაკვირია, სიუჟეტებში არ იყო დაცული ბალანსი მხარეებს შორის. სიუჟეტის დროის დიდი ნაწილი ეთმობოდა იუსტიციის მინისტრიეს, თინა ბურჯალიანის განმარტებებს, რა მოთხოვნები არ დააკმაყოფილა სტრასბურგის სასამართლომ და ძალიან ცოტა რამ იყო ნათქვამი იმაზე, თუ რა დააკმაყოფილა. "იმედმა" ამ თემას 26 აპრილს მე-5 სიუჟეტი მიუძღვნა სათაურით: სტრასბურგის სასამართლომ გირგვლიანის ოჯახის 3 მოთხოვნა არ დააკმაყოფილა.

სამართლებრივი საკითხების გაშუქების სტანდარტი "იმედის" ქრონიკაში დაირღვა:

1. 1 აპრილის სიუჟეტში "თურქეთში 11 წლის ბავშვის მკვლელი დედა-შვილ ოჩხიკიძის საქმის დეტალები".

2. 8 აპრილს, პირველივე სიუჟეტში: "შვილის მკვლელი დედის მეორედ გადადებული პროცესი და მისაქციელის ტრაგედია. მოძალადე მშობლები და დაუცველი ბავშვები".

3. 14 აპრილის მე-4 სიუჟეტში – თაღლითობა ტაო-პრივატ ბანკის თანამშრომლის მიერ, ბრალდებულს, ამაიკ გეოქიანის წინააღმდეგ უკვე 6 მოწმე აძლევს ჩვენებას. მითვისებული თანხები და მოტყუებული კლიენტები.

4. 19 აპრილს – მეხუთე სიუჟეტში – თელავის რაიონში მომხდარი მკვლელობა გახსნილია, სოკარის ბენზინგასამართი სადგურის დაცვის უფროსის მკვლელი დაკავებულია. ეჭვმიტანილმა მას სანადირო თოფიდან ესროლა.

რუსთავი-2

რუსთავი-2-მაც 1 და 2 აპრილს სტამბულში დაკავებული დედა-შვილი მყისვე გამოაცხადა დამნაშავეებად და მათ მიმართ სიტყვა ეჭვმიტანილი და ბრალდებული თითქმის არ გამოიყენებოდა. თუმცა ჩვენ გვინდა, გავამახვილოთ ყურადღება ამ პერიოდში გადაცემა პოსტ კრიპტუმის მიერ მომზადებულ სიუჟეტზე ებრაელი ბიზნესმენების დაკავების თაობაზე. Eეს სიუჟეტი გამორჩეულად კარგია სამართლებრივი ტექნოლოგიის თვალსაზრისით, რადგანაც აშკარა განწყობის მიუხედავად, მიუხედავად იმისა, რომ ძალიან დიდი დრო ეთმობა პოლიციის მიერ ფარულად გადაღებული მასალის ჩვენებას, არც ერთი სიყტვით არაა დარღვეული დაკავებულთა უფლებები. Aთუმცა სიუჟეტის მაღალ დონეს მაინც ეჭვქვეშ დავაყენებდით, რადგან მასში ჩანს ჟურნალისტის ნეგატიური განწყობა დაკავებულების მიმართ და არ არის დაცული ბალანსი – ბრალდების მხარის არგუმენტები, თავად ჟურნალისტის მიერ მო-

პოვებული მამხილებელი ისტორიული მასალა რუნისა და ფრენკელის მიმართ აშკარად უფრო მეტი დოზითაა წარმოდგენილი, ვიდრე დაცვის მხარის პოზიცია.

კავკასია

ტელეკომპანი კავკასიაზე ეთიკური სტანდარტი დაირღვა 02.05 ე. წ. გაყიდულ თამაშებთან დაკავშირებით. კერძოდ, სიუჟეტში ჟურნალისტი იყენებს პოლიციის მიერ მიწოდებულ ფარულად გადაღებულ კადრებს, აჩვენებს მათ საუბარს ისე, რომ სიუჟეტს არა აქვს წარწერა, რომ ეს პოლიციის გადაღებული კადრებია და შემდეგ ამბობს, რომ ფეხბურთელმა ქრთამის სახით აიღო 15 ათასი დოლარი.

ტელეკომპანიებზე „მაესტრო“ და „კავკასია“ სტანდარტის დარღვევის ფაქტს მონიტორინგის პერიოდში ვერ ვასახელებთ, ან ძალიან მცირე რაოდენობით (ერთი) გვხვდება. შესაძლოა, იმის გამო, რომ მაესტროსა და კავკასიაზე საინფორმაციო გამოშვებებში დღეში დაახლოებით 8-დან 13-მდე სიუჟეტი გადაიცემოდა, არ არის

კრიმინალური თემები ან ძალიან იშვიათადაა. მაგალითად, გაშუქდა 7 აპრილს კავკასიაზე თურქი ბოზნესმენის, იამან ჩაღათაის დაკავების ფაქტი. სიუჟეტში სტანდარტი დაცულია. უბრალოდ, რადგან დაცვის მხარის პოზიცია არა გვაქვს, შეიძლება, ჩავთვალოთ, რომ ბალანსი მაინც ბრალდების მხარესაა დარღვეული.

რეკომენდაციები:

1. სასურველია, სამართლის საკითხებზე მომუშავე ჟურნალისტებს უფრო მეტი ტრეინინგი ჩაუტარდეთ სამართლებრივი საკითხების გაშუქების თემაზე.

საინტერესო იქნება ქართველი ჟურნალისტებისათვის ევროპული გამოცდილების შესწავლა და მიწოდება - თუ სად გადის ზღვარი ევროკონვენციის მეათე მუხლით დაცულ გამოხატვის თავისუფლებასა და უდანაშაულობის პრეზუმფციას შორის, როცა საქმე ეხება მაღალი თანამდებობის პირს ანდა საჯარო პირს, რომლის მიმართაც არსებობს მაღალი საზოგადოებრივი ინტერესი.

ფარული ჩაწერაზე ვრცელდება სტანდარტი, რომ ის დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა ჟურნალისტმა ოფიციალური გზით ინფორმაციის მიღების ყველა გზა ამოწურა და საკითხისადმი მაღალი საზოგადოებრივი ინტერესის გამო, ის იძულებულია მიმართოს ამ მეთოდს.

და ბოლოს, ყველას დიდ მადლობას გიხდით. როგორც ჟურნალისტს, მესმის, რომ ინფორმაციის მოპოვება და მისი გადმოცემა საზოგადოებისათვის უფრო დიდი შრომაა, ვიდრე მისი კითხვა და კრიტიკა, ამიტომ ჩათვალოს ყველა ადრესატმა, რომ ჩემი მოკრძალებული მოსაზრებები მიზნად ისახავს მხოლოდ და მხოლოდ პროფესიულ დისკუსიას და აღსავსეა ყოველი თქვენთაგანის მიმართ დიდი პატივისცემით - ამ უაღრესად რთული და საჭირბოროტო საკითხების გაშუქების გამო.